საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 17 თებერვალი 1921 წ.

# ერთობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 1200 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] 50 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 30 მანეთი [illegible] 20 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება [illegible] ბრივი ზომის (10 × 2) 1000 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება: კრთიუზის ქ. № 4, მუსახელეს რუსთაველის ქუჩა № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 16—76, კანტორის 18—83.

№ 37 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 37

## გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 16.

წარსული ღამით რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოილაშქრა საბჭოთა ადერბეიჯანმაც. შემჩნეულ იქნა ყაზახის მაზრიდან საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელი ხიდის წინააღმდეგ.

ფოილოს მიმართულებით მტრის ყოველგვარი ცდა მტკვარზე გადმოსასვლელად ჩვენ მიერ უკუგდებულ იქნა. ჩვენ ავაფეთქეთ ფოილოს ხიდი.

წითელი ხიდისა და სადახლოს მიმართულებით მყოფ ჩვენ ჯარებს ებრძანათ მდინარე ხრამისაკენ დახევა.

ჯარების სულიერი განწყობილება მხნე და მტკიცეა. უკან დახევა სრულის წესრიგით სწარმოებს.

## მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება.

(საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის საოლქო შტაბებს, ბათომის საგანგებო რწმუნებულს, აფხაზეთის კომისარიატს, საქართველოს ყველა მოქალაქეთ.)

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა. გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო ადერბეიჯანი და იქ მდგომ ბოლშევიკურ ჯარებმა შემოგვიტია აღმოსავლეთით. იცოდეთ, რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგარის სამუდამოთ დაღუპვას და ჩვენი ბოლშევიკთა მშიერი ბრბოების უსაშინელეს ტირანიაში ჩავარდნას.

დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის დადება ერთობა და მტერი ძლეული იქნება.

საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოსევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკია.

აიღეთ ხმალი ხელში, აამუშავეთ ქალი და კაცი, შექმენით ახალ-ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით სასტიკი წესიერება, ალაგმეთ მოღალატენი და ორგულნი. იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბოლშევიკები გაგძარცვავენ და გაგჟლეტენ. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება.

შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოჰკიდეთ ხელი მარტოდ-მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველ დღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი.

ქართველო ხალხო, ხელი ხმალს იკარ, მტერთა ისმიან ხმანია!..

საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება!

მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## „წითელ" ადერბეიჯანის თავდასხმა

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა ის როლი, რომელსაც თამაშობდა „წითელი" ადერბეიჯანი სომხეთის თავდასხმაში ჩვენს რესპუბლიკაზე. ყველამ იცის, რომ „წითელ" სომხეთიდან შემოსული ჯარი ბაქოდან არის გაგზავნილი სომხეთისაკენ. ყველამ იცის ისიც, თუ რას ნიშნავდა ის შარები და მიზეზიანობა, რომელსაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში იჩენდა ადერბეიჯანი საქართველოს მიმართ. ჩვენ მაშინვე ცხადათ ვხედავდით, რომ 14 ნოემბრის შეთანხმების დარღვევა, ნავთის გამოგზავნაზე უარის თქმა, ჩვენ მიერ ნავთის მოსატანად გაგზავნილი მატარებლების და ორთქლმავლების დაჭერა—ყველა ეს მტრული მოქმედება იყო და აშკარად ხდიდა ადერბეიჯანში გაბატონებულ მოძალადეთა სულიერ განწყობილებას და მათს განზრახვებს საქართველოს მიმართ.

დღეს „წითელმა" ადერბეიჯანმა უკანასკნელი ნიღაბი ჩამოიხსნა და „წითელ" სომხეთთან ერთად იერიში მოიტანა საქართველოზე. ჩვენ ერთი წამითაც არ უნდა შევიდეთ შეცდომაში: ჩვენ ომი აგვიტეხა არა ადერბეიჯანის მოსახლეობამ, არამედ იმათ, ვინც ადერბეიჯანის ხალხს ჩვენზე ნაკლებ არ სძულს. განაწამები ადგილობრივი მოსახლეობა ადერბეიჯანისა, მთელი მუსულმანობა გმინავს შემოსულ მტარვალთა უღელს ქვეშ და მიუხედავათ საარაკო ტანჯვა-წამებისა, რომელსაც აყენებს მას იარაღით მასზე ძლიერი მტარვალი, იგი ებრძვის მას, იგი მუდმივ აჯანყებაშია მის წინააღმდეგ. აზერბეიჯანის მუსულმანობას და საქართველოს დღეს ერთი და იგივე მტერი ეომება—ეს მტერია აზერბეიჯანში შემოსული რუსეთის ჯარი. მან გაანადგურა, გააპარტახა და სასაკლაოდ აქცია აზერბეიჯანი, გაძარცვა სომხეთი, შესჭამა, რაც კი რამ შესაჭმელი იყო ამ ორ ქვეყანაში და დღეს ეხეთქება საქართველოს კედლებს.

მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ საქართველოს ფეხქვეშ გათელვა ისევე ადვილი იყოს, როგორც ადერბეიჯანის ან სომხეთის. არც ერთი უკანასკნელთაგანი არ იყო დემოკრატიული სახელმწიფო. ორივეში ხელუხლებელი დარჩა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც რევოლუციამდის იყო იქ გამეფებული. არც ერთს ამ ქვეყანაში დემოკრატია არ იყო გამოსული პოლიტიკურ სარბიელზე და არ იყო იმდენათ პოლიტიკურათ შეგნებული, რომ თითონ აეღო თავის ხელში სახელმწიფოს ბედი. ბოლშევიკების გაბატონება ამ ორ ქვეყანაში ნიშნავდა ერთი დიქტატურის შეცვლას მეორე დიქტატურით.

სულ სხვაა ჩვენში. აქ თვითონ დემოკრატიაა თავის სახელმწიფოს მესვეური, მისი ბედის ბატონ-პატრონი. ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო დემოკრატიის ორგანიზმთან არის შედუღებული და ჩვენი რესპუბლიკის ყოველივე ტკივილი ეხმარება მთელს დემოკრატიას, ყოველს მის წევრს, როგორც საკუთარი მისი ტკივილი. ჩვენი სახელმწიფოებრივი თავდაცვა არის თავდაცვა მთელი დემოკრატიისა, მთელი ხალხისა. ამიტომაც არის, რომ დიქტატურის დროშა ვერას ხდება დემოკრატიული თავისუფლების დროშასთან ბრძოლაში.

ეს ომი პირველი ომი არ არის შავი მიზნებით მომდგარ „წითელ" ბრბოებთან ადერბეიჯანის მხრიდან ერთხელ უკვე განვიცადეთ მათი შემოჭრა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის უბადლო და თავდადებულმა დარაჯებმა ორი კვირის განმავლობაში კუდით ქვა ასროლინეს მუხთალს მტერს და შერიგება ათხოვინეს მას. დღეს ჩვენი ჯარი და გვარდია ბევრად უფრო მომზადებული ხვდება ადერბეიჯანის მხრიდან მომდგარ „წითელ" მტარვალს და ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ მტრის შავი განზრახვა ამ ჯერზე უფრო დიდის მარცხით დამთავრდება, ვიდრე რვა თვის წინად.

## გულდამშვიდებული

თითქმის სამი წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ხნის განმავლობაში, გარდა ადერბეიჯანის ხალხისა, მის განმტკიცებას და პროგრესიულ გზაზედ დადგომას სხვა მეზობლები ვერ ითმენდენ.

თავის მხრივ რესპუბლიკა ყოველთვის სიმპატიით და უანგარო აღტაცებით ესალმებოდა მეზობლების განმტკიცებას. ისტორიამ ასეთი სხვა მაგალითი არ იცის. ეს აიხსნება იმით, რომ ისტორიულ მსვლელობაში ქართველი ხალხი დარწმუნდა თავის არსებობის მუდმივობაში, ხოლო რამოდენიმე ათეული წლის ბრძოლაში ყველაზედ მაგარ და საშიშ ტახტის წინააღმდეგ მისი შვილების ნებისყოფა და შეუდრეკელი ხასიათი სავსებით განმტკიცდა. მეზობლებს კი ნერვიულობა თან დაჰყვათ—მათ ვერ შეინარჩუნეს სულის სიმშვიდე.

დღეს რესპუბლიკა ახალი საფრთხის წინაშე სდგას. დიდია ეს საფრთხე, ამას ჩვენ არ დავმალავთ. ეს აშკარაა ყველასათვის. მაგრამ გამარჯვება უზრუნველყოფილია, თუ კი ჩვენმა დემოკრატიამ თავისი ჩვეულებრივი რევოლიუციური სახე მიიღო.

ეს არის ბრძოლის სულისკვეთების განმტკიცება.

ყველა შეგნებული მოქალაქე დღეს ამას უნდა ემსახურებოდეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ჩვენს დემოკრატიაში უდიდესი ენერგია არის დაგროვილი. მას უნდა გზის მიცემა, აუღელვებელი და გულდამშვიდებული ორგანიზაცია. გამარჯვება მტერზედ უდიდეს ბედნიერებას გვიქადის.

გულდამშვიდებული და შესაფერად აწყობილი მუშაობა მთელს რესპუბლიკაში—აუცილებელი პირობაა ამ გამარჯვებისთვის!

ბ. თუკლათელი.

## ბრძოლის ველზე მიმავალნი

ორი დღის წინ გვარდიის ერთი საუკეთესო ბატალიონთაგანი გავაცილეთ.

— განსაკუთრებით—ტკბილი იქნება სიკვდილი თავისუფალი საქართველოსთვისო, სთქვა ერთმა იმათგანმა.

და ჩვენ ვიცით, რომ ეს ბატალიონი ღვთის რისხვასავით მოევლინა კიდევაც მტერს და საარაკო ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენა ქართველ—მხედრობას.

დღეს ჯარის ერთი საუკეთესო ნაწილთაგანი გაემგზავრა ბრძოლის ველისაკენ. ვისაც უნდა ირწმუნოს ჩვენი უეჭველი გამარჯვება, იმან უნდა ნახოს ამ ფაფარ-აყრილი ლომების სახეები.

უიმედობის ნატამალიც არ ეტყობა არც ერთ იმათგანს. როგორც ქორწილში, ისე მიიჩქარიან იქითკენ, საცა თოფ-ზარბაზანი ჰქუხს და სისხლის რუები იღვრება. ყოველი ვაგონიდან გულდამშვიდებული ღიღინი და ხუმრობა მოისმის. მაგრამ ამ ღიღინში და ხუმრობაში არა სჩანს ლაზღანდარული გაფანტულობა; თქვენ გრძნობთ, რომ ადამიანთა ეს დიდი გროვა ერთი აზრით არის შედუღებული; ერთი გრძნობით სძგერს ყოველი მათგანის გული. და მათი სიმღერებიც „ვაჟკაცობისას მღერიან..."

საყვირის ხმაზე ელვის სისწრაფით იჭრენ ადგილს ვაგონებში.

უზარმაზარი მატარებელი ნელის ხვნეშით სცილდება სადგურს. ხმამაღალი „ვაშა" გაისმის და განუწყვეტლივ მეორდება. ერთი ვაგონიდან მეორეში გადადის და ეფინება ქალაქის მიდამოებს.

— გაუმარჯოს საქართველოს!

ვაშა!

ქუდების ქნევით გაიძახიან ჯარისკაცები.

**ნებისყოფა გამარჯვებისა!** ეს არის უმთავრესი გრძნობა, რომლითაც შეპყრობილია ჩვენი მხედრობა.

ნებისყოფა გამარჯვებისა ყოველი ჩვენთაგანის არსებას უნდა მსჭვალავდეს, მიტომ, რომ არ შეიძლება დამარცხდეს საქართველო, რომელსაც ლომგული შვილები უდგიან დარაჯათ!..

X.

## მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა

(წარმოთქმული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 15 თებერვალს)

მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი.

სომხეთი კვლავ ვერაგულათ თავს დაგვესხა, მან კვლავ ააფრიალა სისხლის და ომის დროშა და ჩუმათ, მუხანათურათ შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში. შემოიჭრა იმავე გზით, იმავე საშუალებით, იმავე წესით, როგორითაც მან ჩაიდინა ეს ამ ორი წლის წინეთ. ამ თვის თორმეტს ღამით მისი მოწინავე რაზმები თავს დაესხენ ჩვენ სადარაჯო პოსტებს, აიყოლიეს ზოგი გაბრიყვებული სოფელი და ამნაირათ ხელთ იგდეს ერთი ნაწილი ბორჩალოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრებისა. სომხეთის ხელმძღვანელი წრეები იცვლიან ფერს, როგორც ეს დასჭირდებათ, მარა ამით ოდნავათაც არ იცვლიან სულს და გულს, ოდნავათაც არ უახლოვდებიან ადამიანურ საერთაშორისო ჩვეულებას. ისინი დღესაც ვერ ინელებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, დღესაც არ სცნობენ საქართველოს სახელმწიფოებრივობას, და ცდილობენ ყოველივე ძალღონით დაამხონ და შემუსრონ იგი. ეს მათ ვერ შესძლეს 1918 წელში; შემდეგ ცენტრი თავის მუშაობისა გადაიტანეს ევროპაში და იქ ამ ორი წლის განმავლობაში უფრო ებრძოდენ საქართველოს, ვიდრე იცავდენ სომხეთს. იქაც ვერ მიაღწიეს მიზანს, და აი ახლა ხელახლა სცადეს აქ და შეიარაღებული ძალით ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. განა ეხლა კი მიაღწევენ მიზანს? არა, არასოდეს, ისინი ეხლაც ისე სასტიკად დამარცხდებიან, ისე ლაჩრულად გაიქცევიან, როგორც დამარცხდენ და გაიქცენ პირველად.

რის და ვისი იმედით იწყებს ომს ეს გაქცევას დაჩვეული ხალხი? რის და ვისი იმედით აბრიყვებენ სომხეთის გლეხკაცობას ეს ყვითელი თუ წითელი ვაჟბატონები?

ამათ არასოდეს არ ქონებიათ თავის იმედი, ისინი მუდამ გარეშე ძალას ეძებდენ მეზობლის წინააღმდეგ. პირველი ომი მათ დაიწყეს დენიკინის იმედით, მაგრამ დენიკინმა დააგვიანა და როცა მან სოჭზე გამოილაშქრა, სომხეთი დიდი ხნით დამარცხებული იყო. საქმეში ჩამოერია ახლათ მოსული ინგლისელნი, გაგვაჩერებიეს გამარჯვებული ჯარი და შეგვიქნეს ნეიტრალური ზონა.

ეს დენიკინის მოტრფიალენი ეხლა უცებ დაცემული მთავრობის ლოცვაკურთხევით, გადაიქცენ საბჭოთა მთავრობის მოტრფიალეთ. და ეხლა ამ ბოლოს იმედით მოდიან ჩვენკენ და ლამობენ შეასრულონ ის, რაც დენიკინის შავმა ლაშქარმა მათ წინეთ ვერ შეუსრულა. როგორც ხედავთ, სომხეთის ბატონ-პატრონები ყოველნაირ ძალას ემხრობიან, ოღონდ ეს ჩვენ წინააღმდეგ კი გამოადგეთ. კუზიანს სამარე გაასწორებსო, მათი გამასწორებელი დღეიდან ჩვენი ხმალია.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკური სომხეთი მოდის დაშნაკურ სომხეთის გზაზე და აწარმოებს პირწმინდათ მის პოლიტიკას. ჩვენ არასოდეს არ დაგვიჯერებია, რომ სომხეთის ახალი დროშა ოდნავადაც მაინც შესცვლიდა მის ძველ დროშას, არასოდეს არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ სომხეთის ბოლშევიკური მთავრობა მართლა დაადგებოდა საერთაშორისო სოლიდარობის და თანხმობის გზას. ის დღიდან თავისი არსებობისა ეძებს საბაბს განხეთქილებისა და ომიანობისას. განა არ შეიძლებოდა სადავო კითხვების მეზობლურად, მშვიდობიანად მოგვარება. დიახაც რომ შეიძლებოდა, მაგრამ ეს, მიუხედავათ დაპირებისა, ტყუილზე გადასცვალეს.

რა იყო ჩვენს შორის სადავო. სადავო საგანი იყო სწორეთ გარეშე ძალის მიერ შექმნილი ნეიტრალური ზონა. ჩვენ ეს ორი წელიწადია ვცდილობთ ამ ზონის მოსპობას და ნამდვილ საზღვრის დადებას. ამ საგანზე გვქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება სომხეთის ძველ მთავრობასთან, რომლის თანხმობით ჩვენ ეს ზონა დროებით დავიკავეთ. ბოლშევიკურ მთავრობას ჩვენ შევდით და ათ დეკემბერს მივმართეთ ნოტით ამ სადავო კითხვის მოლაპარაკებით გათავებით. იმავე თვის 29 ს მისგან მივიღეთ თანხმობის პასუხი ნებითვე, ხოლო იანვარში თვით ნოტის ავტორი, საგარეო საქმეთა კომისარი ბეკზადიანი ჩამოვიდა თფილისში და მასთან საბოლოოდ შევთანხმდით. უნდა შეკრებილიყვნენ ორივე ქვეყნის დელეგაციები თფილისში, ჩვენ ველოდით მათ დელეგაციებს თფილისში. ჩვენ ველოდით მათ დელეგატებს, სამაგიეროთ კი მივიღეთ... თავდასხმა. სწორედ ასე მოხდა 1918 წელშიც. ალბათ გახსოვთ, იქ ერევანში ჩვენი ელჩი დაარწმუნეს, თფილისში ვგზავნით დელეგატებს საზღვრის კითხვის მოლაპარაკებით გადასაჭრელათო, ხოლო ნამდვილათ კი იმავე დროს თავდასხმა მოახდინეს. იგივე მუხანათობა, ორპირობა, გაუტანლობა ბატონობს ერევანში დღესაც.

მაგრამ ერთი უპირატესობა, უეჭველია, ჰქონდა ძველ მთავრობას. მან შემდეგ თავდასხმისა ოფიციალურათაც ომი გამოგვიცხადა. ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას აცნოს, რომ აქ ომი კი არა, ადგილობრივი გლეხთა აჯანყებაა.

მაშ, ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითა პოლკები, არტილერია და ტყვიისმფრქვეველები? უპატრონოებია? ვინ მოიყვანა სომხეთის რესპუბლიკის რეგულიარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? განა შეიძლება ქურდულად ომის წარმოება? ჯარების დამალვა, არა, ჩვენ საქმე გვაქვს სომხეთის მთავრობასთან და არა მათ მიერ გაბრიყვებულ გლეხებთან. შინაგანი ბოლშევიკური შეთქმულება და გარედან თავდასხმა—აი რა მოხდა ბორჩალოში. ამ გეგმის განხორციელება მათ ვერ შესძლეს დეკემბერში თფილისში, საქართველოს შიგნით; და აი, აქ დამარცხებულნი, მას ახორციელებენ ნეიტრალურ ზონაში და მით აჩაღებენ სისხლის ღვრას ორ მეზობელ ხალხთა შორის.

მათ სურთ საქართველოს დაპყრობა ბორჩალოდან. ტყუილი იმედია, საქართველოს დემოკრატია აჩვენებს ამ ვაჟბატონებს თავის ვაჟკაცობას, თავის დადებას და გამარჯვებას. მომხდურნი ისევ უკან გაიქცევიან, როგორც არა ერთხელ გაქცეულან წინათაც. და აი, ამაში დარწმუნებული ერევნიდან ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და შუამავლობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე.

ერევანს დარჩა ერთად ერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეულნი ქართველი ბოლშევიკები, თავის ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის შამქეზებელნი.

ბატონებო! ძველი საქართველო დაასუსტა სწორეთ ასეთმა მოღალატეობამ, ქართველთა საქართველოდან გაქცევამ და სპარსთა ან სხვა უცხო ჯარებით უკან დაბრუნებით. დღევანდელი ქართველი ბოლშევიკები, ბაქოში მოკალათებული, ზურაბ წერეთლები, იმეორებენ აი ამ ფეოდალების მუხანათობას, მაგრამ ერთი განსხვავებით: დღევანდელ შეერთებულ და შეკავშირებულ დემოკრატიულ საქართველოს თავის ულირს შვილთა არ ეშინია, ის თავის თავს, თავის არსებობას და მთლიანობას ბოლომდის მამაცურად დაიცავს და მომხდურთ და მოღალატეთ სამაგიეროს მიაგებებს.

მოქალაქენო! მთავრობამ მიიღო ყველა ზომა ქვეყნის დასაცავად, მან გამოაცხადა დამატებითი მობილიზაცია, შემოიღო სამხედრო წესები, შეაკავა მოწოლილი მტერი, ხელთ იგდო სტრატეგიული პოზიციები, ჩვენი გვარდია და ჯარი მტკიცედ სდგას თავის პოსტზე და ვაჟკაცურად ასრულებს თავის მოვალეობას. შეაჩერა თვითმართველობათა არჩევნები და შეცვალა ერის მთელი ენერგიის თავდაცვის გარშემო დარაზმვა. შევუწყოთ ხელი ფრონტს, გრონტს. შევუწყოთ ხელი ფრონტს, გადავდოთ ყველაფერი ფრონტისთვის. დროებით ჩავაგოთ ქარქაშში პარტიული ხმალი და ვაჩვენოთ მტერს ჩვენი ერთობა და სიმტკიცე. დამფუძნებელი კრება, ეს გული და ტვინი საქართველოსი და მის მიერ დაყენებული მთავრობა წაუძღვება ხალხს წინ, გამარჯვებისაკენ. (მხურვალე ტაში და ოვაციები).

## მოწოდება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

**ამხანაგებო, მუშებო, მოქალაქენო, შეიარაღდით!**

ვერაგი მტერი ქურდულათ დაგვესხა. ომის გამოუცხადებლათ ადერბეიჯანის საბჭოთა ჯარმა ბრძოლა დაიწყო. წითელ ნიღაბ ქვეშ თავს გვესხმიან ძველი იმპერიალისტური პოლიტიკის მატარებელნი.

**ამხანაგებო მუშებო!** იარაღი აისხით და შეავსეთ სახალხო გვარდიისა და ჯარის რაზმები.

ყველაფერი ფრონტისაკენ, ყველაფერი ფრონტისათვის!

მტერი იმედოვნებს ერთი დაკვრით სოციალისტურ საქართველოს გასრესას. თქვენ იხსნით სოციალისტურ სამშობლოს. თქვენ დაუმტკიცებთ მუხანათ მტერს, რას ნიშნავს თავდადება დამოუკიდებელ საქართველოსათვის!

მუშებო, იარაღი აისხით და მტერიც განადგურდება!

**ძირს „წითელი" იმპერიალისტები! გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს! გაუმარჯოს რესპუბლიკის თავდაცვას!**

**ცენტრალური კომიტეტი საქ. ს.-დ. მუშ. პარ.**

—

**საქ. სოციალ-დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ორგანიზაციებისადმი.**

I

თფილისის ს.-დ. რაიონულ ორგანიზაციებს:

1) დაუყოვნებლივ მოახდინეთ მობილიზაცია პარტიის წევრთა, რომელთაც შეუძლიათ იარაღის ტარება.

2) ყველა გამოწვეული გაჰყავით ორ კატეგორიათ: ერთი ნაწილი იქნება ძველი ჯარისკაცები, ხოლო მეორე ნაწილი, ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლიათ, მარა სამხედრო გაწვრთნა არ მიუღია. ეს უკანასკნელები დღესვე უნდა გამოგზავნოთ ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

3) მათი მიღება დაიწყება დღის ორი საათიდან. ნუ დაუცდით ყველას ერთად მოგროვებას და გამოგზავნეთ ნაწილ-ნაწილად.

4) იარაღი ვისაც კი აქვს სახლში, ეხლავე ჩააბარონ უკლებლივ როგორც თოფები, ისე პატრონები, სარაიონო გვარდიის შტაბებს.

5) არ დააყოვნოთ ერთი წამი! ყველანი ფეხზე დადექით!

6) ის წარმოება, რომელიც თავდაცვისათვის არის აუცილებელი, არ უნდა შეფერხდეს და იქიდან ამ წესით ხალხი არ უნდა იქნას გამოყვანილი. ასეთია: არსენალი, ექსპედიცია, რკ. გზის ის ნაწილები, რომლებიც მოძრაობას ემსახურებიან, ტყიბულის მაღაროები და სხ.

საქ. ს.-დ. პ. ცენტრალური კომიტეტი
16 თებ. 1921 წ,
№ 527.

—

II

**რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს.**

ამხანაგებო!

ადერბეიჯანმა ბანი მისცა სომხეთს და ისიც ვერაგულად თავს დაგვესხა. ბოლშევიკები ცდილობენ სოციალისტური საქართველოს გასრესას.

ფეხზე დადექით!

დაუყოვნებლივ მოახდინეთ მობილიზაცია პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა. გამოწვეული ამხანაგები დაუყოვნებლივ გადაეცით ადგილობრივ გვარდიის შტაბების განკარგულებაში. მოჰკრიბეთ სამხედრო იარაღი და ჩააბარეთ გვარდიის შტაბებს. მიიღეთ სასწრაფო ზომები სურსათის შესაკრებად და ჯარის უზრუნველსაყოფად.

მთელი რესპუბლიკა ფეხზე უნდა დადგეს ვერაგი მტრის მოსაგერიებლად.

რესპუბლიკის ბედი თქვენს ხელშია!

საქ. სოც.-დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი.
16 თებ. 1921 წ.
№ 528.

## მიმართვა ინტერნაციონალს და სოციალისტურ პარტიებს

საქართველოს სოც. დემოკრატიულმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მიმართვა გაუგზავნა პარიზში ირ. წერეთელს გადასაცემათ ყველა სოციალისტურ პარტიების, ჟენევის და ვენის ინტერნაციონალურ ბიუროებისა და პროფესიონალურ ინტერნაციონალისათვის:

ამხანაგებო!

საბჭოთა ჯარმა სრულიად უმიზეზოთ დაარღვია ჩვენსა და რუსეთს შორის გასული წლის 7 მაისს დადებული საზავო ხელშეკრულება და ვერაგულათ და ქურდულათ, ომის გამოუცხადებლათ გადმოლახა სოციალისტური საქართველოს საზღვრები.

კომუნისტური დროშის ქვეშ გრძელდება მეფის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა,—მცირე ერთა დაპყრობისა და დამონებისა.

საქართველოს პროლეტარიატი იცავს თავის საზღვრებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასის სახელით ჩვენ ვაცხადებთ ულრმეს პროტესტს იმპერიალისტურ მოძალადეს წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ჩვენ ველით თქვენ მორალურ დახმარებას. დარწმუნებული ვართ თქვენ არ მოითმენთ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის სახელით კეთდებოდეს შავი საქმე სოციალისტური რესპუბლიკის განადგურებისა.

**საქართველოს სოც.-დემ. ცენტრალური კომიტეტი.**

**საქ. პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## დამფუძნებელ კრებაში

15 თებ. დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება სომხეთის საქართველოზე თავდასხმის შესახებ. ამ განცხადების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ყველა ფრაქციებმა. ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღეს უნდა შეწყდეს ყოველგვარი პარტიული დავა, ყოველგვარი განსხვავება და საქართველო უნდა გადაიქცეს ერთ ბანაკად, ერთ სამხედრო რაზმად, რომ მუხანათი მტერი რაც შეიძლება ჩქარა იქნას დამარცხებული. კამათის

დასასრულ მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა განცხადება მთავრობის თავმჯდომარისა საბჭოთა სომხეთის ვერაგული თავდასხმის შესახებ, დამფუძნებელი კრება საქართველოს სუვერენული ერის სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს სომხეთის საბჭოთა მთავრობის მიერ საერთაშორისო უფლების ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვის გამო.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა სომხეთის ამ მუხანათურ თავდასხმაში უმთავრეს ძალას წარმოადგენს ბაქოდან გამოსული რუსთა მხედრობა, რომელიც იმპერიალისტურ ძალათ მოევლინა ამიერ-კავკასიის ერებს.

დამფუძნებელი კრება სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს რესპუბლიკის დასაცავად და მისი თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს ერი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება შემოსეულ მტერთა მოსაგერებლად.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ მთელი მოწინავე კაცობრიობა თავის მსჯავრს დასდებს ამ ვერაგულ თავდასხმას.

დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის ჯარსა და გვარდიას დარწმუნებული, რომ საქართველოს ერთგულნი და მამაცნი შვილნი დაიცავენ სამშობლოს მიწა წყალს და სრულ გამარჯვებას მიანიჭებენ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას".

# სამშობლოს ერთგულთ

სომხეთით და აღერბეიჯანით მტერი კვლავ თავს დაგვესხა. დაგვესხა მუხანათურათ, ომის გამოუცხადებლივ. მამაპაპურის ვაჟკაცობით ბრძოლაში უკვე ჩაება პირველ რიგში მდგომი ჯარი და გვარდია და გმირულის თავდადებით იცავენ სამშობლოს დიდებას და დამოუკიდებლობას.

საერთო ხიფათის დროს მთელი ქართველი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს და უზენაესი მსხვერპლის გასაღებად განემზადოს.

ჩვენ ვიცით სამშობლოს განსაცდელის დროს, შინ, კერის პირას, გული არ დაუდგება არც ერთ ქართველ ვაჟკაცს, რომელიც ჯარში გაწვეული არ არის და დღეს სხვებთან ერთად არ იხდის თავის სამღვთო მოვალეობას საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მოვუწოდებთ სამშობლოს ერთგულთ, რომ დაუყონებლივ მიიქცნენ თავ-თავის პარტიულ ცენტრებში და პროფესიონალურ კავშირებში; იქ მიიღებთ სათანადო ბარათებს და ამ ბარათებით გამოცხადდით დამფუძნებელ კრებაში მოხალისეთა სამობილიზაციო ბიუროს წინაშე.

მაშ, ყველანი, ვისაც გული გვერჩის და ძარღვებში სისხლი გვიდუღს, ვინც ჯარში არ ვართ გაწვეულნი და ჯერ არ ვომობთ,—ყველანი ჩავებათ მოხალისეთა რაზმში და მივეშველოთ ფრონტზე თუ ზურგის სამსახურში ჩვენს სიამაყეს და იმედს—ჯარს და გვარდიას—და მათთან ერთად დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლება და ღირსება.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიასთან არსებული მოხალისეთა სამობილიზაციო ბიურო.

ხელს აწერენ: ალ. ლომთათიძე, გრ. რცხილაძე, ხ. კედია, ზაქ. გურული, ალ. ნუცუბიძე.

1921 წ. თებერვლის 16.

ქ. თფილისი.

# მოხალისეთა სამობილიზაციო კომისიისაგან

**პოლიტიკურ პარტიების და პროფეს. კავშირთა ორგანიზაციებს.**

1921 წ. თებერვლის 16

თანახმად დღეს დილით მომხდარ ყველა პოლიტიკურ პარტიების და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა საგანგებო თათბირის დადგენილებისა, სამხედრო კომისიამ გამოჰყო თავის შემადგენლობიდან მოხალისეთა სამობილიზაციო ბიურო, რომელიც მოწოდებით მიმართავს მოხალისეთა რაზმში ჩაწერის მსურველთ.

თათბირის დადგენილებით მოხალისეთა ჩაწერა და კომისიაში გამოგზავნა გევალებათ თქვენ. ყველა პარტიის ბიურო გზავნის თავის რეკომენდაციით და თავდებობით შეგროვილ მოხალისეთ იმის აღნიშვნით, გაუვლიათ თუ არა სამხედრო გაწვრთნა.

ბიუროს სარეგისტრაციო პუნქტი არსებობს დამფუძნებელ კრების სასახლეში, ოთახი № 29, ტელეფონი 6—18. რეგისტრაცია დაიწყება $2^1/_2$ საათზე დღეს და განუწყვეტლივ იწარმოებს ხვალ 12 საათამდე.

—გენერალ-გუბერნატორს ეცნობა გასცეს სათანადო განკარგულება, რათა ყველანი, ვინც მოხალისეობას მოისურვებს, დაუყონებლივ სამსახურიდან იქნეს განთავისუფლებულნი, საერთო წესის მიხედვით.

სამობილიზაციო ბიურო.

# სამობილიზაციო

**თფილისის ქალაქის გამგეობის განცხადება.**

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სასწრაფოდ დაბრუნებულ უნდა იქმნენ თავიანთ ერთეულებში ყველა 1894 და 1895 წლებში დაბადებული ჯარის კაცნი, რომლებიც იმყოფებიან შვებულებაში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

1894 და 1895 წლებში დაბადებული ის ჯარის-კაცები, რომლებიც თავის დროზედ გამოუცხადებლობისა გამო არ იყვნენ ჩარიცხულნი ჯარის ერთეულებში და თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის მიერ იყვნენ დათხოვნილნი შვებულებაში, ისინი თანახმად გენერალურ შტაბის უფროსის განკარგულებისა, იქნებიან გაგზავნილნი ჯარის ერთეულებში სამხედრო ნაწილის უფროსის განაწილებით.

ამიტომ ამ განცხადების გამოქვეყნების უმალვე აღნიშნულ წლებში დაბადებული ყველა ჯარის კაცნი, მცხოვრებნი ქ. თფილისში, დაუყონებლივ და არა უგვიანეს ამა თებერვლის 17-სა უნდა გამოცხადდნენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, სახლი თამამშევისა) იმ სახაზინო ბარგ-ნივთებით, რომელიც მათ აქვთ წაღებული ჯარის ერთეულებიდან.

16 თებ. 1921 წ. ქალაქის გამგეობა.

—

**ექიმთა მობილიზაცია.**

თფილისის ქალაქის გამგეობის განცხადება.

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზედ, გარდა სოხუმის ოლქისა, 1884 და 1885 წლებში დაბადებულ ექიმთა მობილიზაცია.

ამიტომ აღნიშნულ წლებში დაბადებული ყველა ექიმები, რომლებიც ცხოვრობენ ქალ. თფილისში, ვალდებული არიან ამ განცხადების გამოქვეყნების უმალვე და არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 17 სა დაუყონებლივ გამოცხადდნენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა სახ. თამამშევისა).

ქალაქის გამგეობა.

16 თებერვ. 1921 წ.

# მისიების დაპატიმრება

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 16 თებერვალს დააპატიმრეს ბინებზე აზერბაიჯანისა და სომხეთის მისიები.

# საქართველო და ინგლისი

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან).

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარის პოლკ. სტოქსისაგან საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ აღიარების გამო მიღებულია შემდეგი წერილი:

თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე დღეს მივიღე ტელეგრაფით მის უდიდებულესობის ბრიტანეთის მთავრობისაგან მოწერილობა, რომლითაც ნება მეძლევა გადავცე საქართველოს მთავრობას, რომ მის უდიდებულესობის მთავრობამ იცნო იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

გაცნობებთ რა ამ სასიამოვნო ამბავს, მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით გამოვთქვა ჩემი გულწრფელი იმედი, რომ იურიდიული ცნობა განამტკიცებს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთის შორის არსებულ მეგობრობას და დაეხმარება ქართველი ერის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით ერთხელ კიდევ გამოვსთქვა ჩემი გულწრფელი პატივისცემა თქვენს აღმატებულებისადმი. (სდს).

# საქართველო და ოსმალეთი

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„დიდის კმაყოფილებით ვეჩქარი გილოცავთ თქვენ ჩემი გულითადი მილოცვა საქართველოს დამოუკიდებლობის უმაღლეს საბჭოს მიერ იურიდიულად ცნობის გამო. ოსმალეთის ერს, რომელიც იბრძვის მრავალ მტრების წინააღმდეგ ხალხთა თვითგამორკვევის უზენაესი უფლების პრინციპისათვის, არ შეუძლიან არ მიიღოს მონაწილეობა თქვენს სიხარულში მაშინ, როდესაც ის ხედავს მისთვის ძვირფასს პრინციპის განხორციელებას მეზობელ საქართველოს სასარგებლოთ. მე ვთავაზ, ბატონო მინისტრო, და უსურვებ თქვენს ქვეყანას თავისუფლებას, ბედნიერებას და კეთილდღეობას.

საგარეო საქმეთა კომისარი ახმედ მუხტარი. (სდს)

# გენერალ-გუბერნატორის ბრძანებები და განკარგულებანი

I.

16 თებერვალი 1921 წ. ქ. თფილისი.

1) აკრძალულია ყოველგვარ კრებისა და მიტინგების მოწყობა ქალაქის მილიციის უფროსის პოლკოვნიკ სულაქველიძის უნებართვოთ, რომელსაც აქვს მიცემული ჩემგან ამისი რწმუნება.

2) როგორც ყოველდღიურ და ისე ყოველკვირეულ პერიოდულ გამოცემათა თითო ეგზემპლიარი გამოცემის დღეს უნდა წარდგენილ იქნეს გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში.

3) ქალ. თფილისის სახლის პატრონები, ბინის დამქირავებელნი, სასტუმროთა და მოწყობილ ოთახების პატრონები ვალდებულნი არიან შეატყობინონ მთავრობის სათანადო წარმომადგენელთ არა უგვიანეს 24 საათ. საბინაო დავთრებში შეტანილი სწორი ცნობები ჩამოსულ და აქედან გასულ პირთა შესახებ. ამ ცნობებში უნდა იყვეს აღნიშნული საიდან ჩამოვიდნენ და ან სად წავიდნენ აღნიშნული პირები.

4) ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით ციხეში 3 თვით დამწყვდევით ან 100,000 მან. ჯარიმის გადახდით.

II

თავდაცვის საქმის დამშვიდებული წარმოებისათვის საჭიროდ ვსცნობ დავავალო თფილისის ყველა მოქალაქეებს განსაკუთრებული წესრიგის შენარჩუნებას ყოველის მხრით ხელი შეუწყონ.

შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო რესპუბლიკის მტრების აგენტები დაიწყებენ სისინს: ხმების წაქეზებას, პანიკის შექმნას და ქორების გავრცელებას.

დამნაშავენი დაუყონებლივ იქნებიან გასამართლებულნი სამხედრო სასამართლოს მიერ. ყველა იმ პირთ, ვისაც იარაღი აქვთ უნებართვოდ, წინადადებას ვაძლევ ორი დღის განმავლობაში ჩააბარონ ქალაქის მილიციის უფროსს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სამხედრო სასამართლოში მიეცემიან.

ღამის 11 საათის შემდეგ დილის 6 საათამდე ქუჩაში გამოსვლა კერძო პირთათვის, გარდა ექიმებისა, სასტიკად აკრძალულია. დამრღვევნი ამა მუხლისა დაპატიმრებული იქნებიან.

გარნიზონის უფროსს ვუბრძანებ ქუჩებში იყოლიოს საკმაო რიცხვი სამხედრო პატრულებისა წესრიგის დასაცავად.

ეს ბრძანება ვრცელდება ყველა ადგილებზე, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული და მისი სისრულეში მოყვანა ევალება სათანადო მილიციის უფროსებს. ტყიბულის რაიონში ჩემს რწმუნებულს კონ. კანდელაკს, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს—მგელაძეს.

გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი.

III

რესპუბლიკის კანონთა კრებულის დამატების მე-2 ტომის 23 მუხლის თანახმად ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემს მიერ გამორიცხულ იქნებიან საერთო წესიდან და გადაეცემიან საგანგებო სამხედრო სასამართლოებს, რომელნიც არსდებიან დამფუძნებელ კრების 1919 წ. ნოემბრის 11 დეკრეტის ძალით ის პირნი, ვინც ამის გამოცხადების შემდეგ ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატორო ტერიტორიაზე ჩაიდენენ იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია 1918 წ. ივლისის 5 კანონში, სახელდობრ:

1) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ. 108, 109, 110 და 119 სისხლის სამართლის დებულებისა, ტომი 15 კან. კრებ. გამოც. მე-4).

2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წესწყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ. 100 სისხლის სამ. დებულ. რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წ. 4 აგვისტოს დადგენილებისა რედაქციით „დროებითი მთავრობის უწყება", 1917 წ. № 127).

3) ვინც მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანებში დაწესებულ მმართველობის წინააღმდეგ (მუხ. 263 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15 კან. კრებ.).

4) ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას, (მუხ. 1454 და 1 ნაწ. 1455 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15).

5) ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას, ან საზოგადოთ იმას, რაც წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას, ან სათადარიგოთ დამზადებულ სურსათს, ვინც ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო, ვინც საზოგადო შენობას.

6) ვინც განზრახ გაანადგურებს, ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას, ან რაიმე მათ მოწყობილობას, ან გასაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც დაწესებულია რკინის გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისათვის, თუ-კი ბოროტ-მოქმედს განზრახვა არ ჰქონოდეს საფრთხეში ჩაეგდოს რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო, თუ სამთო-მადნის დარგის ისეთ მოწყობილობას. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

7) ვინც გაძარცვავს ან იარაღით თავს დაესხმის ვისმე და წაართმევს ქონებას (Грабежъ и разбой).

8) ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელიმე იმ ბოროტმოქმედებათაგანს რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წ. 12 ივლისის დადგენილებაში („დროებითი მთავრობის უწყება" 1917 წ. № 103.)

IV

**სისხლის სამართლის მილიციის უფროსებისადმი**

რადგანაც ჩემს მიერ გამორიცხულია საერთო სასამართლოს ქვემდებარეობიდან ის საქმეები, რომელიც შეიძლება აღიძრას ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ გუბერნატოროში გათვალისწინებული რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კან., მათი გადაცემით სამხედრო საგანგებო სამმართველოებისათვის გაძლევთ წინადადებას, ცირკულიარით მიწეროთ თქვენდამი რწმუნებულ მილიციის სათანადო თანამდებობის პირებს, რომ ამ დანაშაულების განხილვის წარმოების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

1) დანაშაულობის ყოველი შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება სამხედრო საგანგებო სასამართლოებს, მილიციის წარმომადგენლებმა დაუყონებლივ უნდა აუწყონ უბნის პროკურორის ამხანაგს, ოლქის სასამართლოს პროკურორს და რთულ შემთხვევებში, პალატის პროკურორსაც.

2) ყოველ კომისარიატში და მილიციის სასამართლოებში მორიგე ოთახში სახილველ ადგილზე უნდა იქნეს აღნიშნული მისამართი და ტელეფონის ნომრები (სამსახურის და ბინის) უბნის პროკურორის ამხანაგისა, ოლქის სასამართლოს და სასამართლო პალატის პროკურორებისა.

3) გამოძიება აღნიშნულ დანაშაულებაზე სწარმოებს საპროკურორო ნაწილის წარმომადგენელთა ზედამხედველობის ქვეშ და მათი დაუსწრებლობის დროს კი რესპუბლიკის მილიციის მოსამსახურეებმა უნდა იხელმძღვანელონ სასამართლო პალატის პროკურორის ინსტრუქციით, რომელიც გამოცემულია 1920 წ. 1 მარტს.

4) გამოძიება უნდა იქნეს დასრულებული 24 საათში, რომლის გასვლის შემდეგ წარმოება უშუალოთ უნდა წარმომედგინოს მე და ეს ეცნობოს უბნის პროკურორის ამხანაგს. (მუხ. 7, 8 და სხვ. მთავრობის დადგენილება 1918 წ. 22 დეკემბრის № 177).

5) რადგანაც მილიციის მიერ წარმოებული დაკითხვა, რომელსაც აქვს საგამოძიებლო აქტების მნიშვნელობა, უნდა გახდეს საფუძვლად სასამართლო გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების შეცდომების თავიდან ასაცილებლად აღნიშნული დანაშაულებათა გამოძიების საწარმოებლათ უნდა იქნენ დანიშნული ისეთი მოხელეები, რომლებსაც აღნიშნულ მოვალეობისათვის პრაქტიკული გამოცდილება აქვს.

6) მილიციის უფროსების და უბნის კომისრები ვალდებულნი არიან ცნობა ყოველ შემთხვევაზე უშუალოთ წარმომიდგინონ მე.

ხელს აწერს:

ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების, რესპუბლიკის რკინის გზების და ტყიბულის მაღაროების რაიონის გენ.-გუბერნატორი:

ბ. ჩხიკვიშვილი.

# დამფუძ. კრებას, მთავრობას, ჯარს და გვარდიას

თფილისი. თებერ. 16. დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს, ჯარს და გვარდიას მოუვიდა შემდეგი დეპეშები:

**ჭიათურა.** თებერ. 15. ახალი განსაცდელის წინაშე ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრება იმედიანათ შეჰყურებს მომავალს, დარწმუნებული, რომ ჩვენი მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველი დემოკრატია შეძლებს ღირსეული პასუხი გასცეს ვერაგ მტერს; ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ მტრის დასამარცხებლათ. გაუმარჯოს თავდაცვას!

**სამტრედია.** 15 თებ. რკინის გზის სამმართველოს რაიონის პროფესიონალური კავშირის სექციურ გამგეობათა შეერთებული კრება, აღშფოთებული რესპუბლიკის დაუძინებელ მტერთა მოღალატური თავდასხმით, მოგესალმებათ მხურვალეთ და აღგითქვამთ, რომ ამ მტრების მიერ ძალით თავზე მოხვეულ ბრძოლაში მთელის ჩვენი ძალღონით ვიქნებით თქვენთან ერთად, აღფრთოვანებული უტეხი რწმენით, რომ ჩვენი წმინდა დროშა, როგორც მრავალჯერ, ისე ამ ომშიაც გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ქარიშხალიდან და ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან თუ რა შეუძლია დამოუკიდებელ საქართველოს ერთსულოვან დემოკრატიას. დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს!

**ძირულა.** 15 თებ. ძირულის ქემის ხმოსანთა 14 თებერვლის კრება აღშფოთებულია მტრის მუხანათური თავდასხმით. აღგითქვამთ ყოველნაირ დახმარებას. უგზავნით თავდაცვის კომიტეტს 50 ათას მანეთს. გაუმარჯოს დემოკრატიულ ფრონტს და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს! (სდს)

—

მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას, ჯარს და გვარდიას.

რკინის გზის სამმართველოს რაიონის პროფესიონალური კავშირის სექციურ გამგეობათა შეერთებული კრება აღშფოთებული რესპუბლიკის დაუძინებელ მტერთა მოღალატური თავდასხმით მოგესალმებათ მხურვალეთ და აღგითქვამთ, რომ ამ მტრების მიერ ძალით თავზე მოხვეულ ბრძოლაში მთელი ჩვენის ძალღონით ვიქნებით თქვენთან ერთად. აღფრთოვანებული უტეხი რწმენით, რომ ჩვენი წმინდა დროშა, როგორც მრავალჯერ, ისე ამ ომშიაც გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ქარიშხალიდან და ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, თუ რა შეუძლია დამოუკიდებელ საქართველოს ერთსულოვან დემოკრატიას.

დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს!

მონ. ყრილობით: ს. თავაძე.

# ქრონიკა

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით საფრანგეთის კონსულის ხელით შეურაცხყოფისათვის დაპატიმრებული არიან 30 დღით სამხედრო ექიმი ლომინაძე და ათასეულის უფროსი ჟურული.

— გენ. გუბერნატორის განკარგულებით საგენერალ გუბერნატორო ტერიტორიაზე დაარსდა საგანგებო სამხედრო სასამართლო ალფესი ხელაძის თავმჯდომარეობით. სასამართლოს წევრები დამტკიცებული იქნება გენ. გუბერნატორის მიერ ა. ხელაძის წარდგენით.

სასამართლომ მოქმედება უკვე დაიწყო.

— საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკი კერძო პირთათვის გენ გუბერნატორის განკარგულებით აკრძალულია.

— გენერალ გუბერნატორის განკარგულებით თფილისში გამორიცხულია ყველა კერძო აბონემენტები ტელეფონის ქსელისა.

— წითელ ჯვრის საფრონტო ორგანიზაციების საჭიროებისათვის საჩქაროდ საჭიროა სათნოების დები და სანიტარები. პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქ., № 60).

გაგზავნილ იქმნა ფრონტზე დამატებითი წითელი ჯვრის საექიმო-შემხვევი რაზმი.

ფრონტიდან დაჭრილ დაავადებულთა ევაკუაცია მიენდო წითელ ჯვარს. ამიტომ გუშინ, 15 თებერვალს, მოწვეულ იქმნენ წითელი ჯვრის მთავარ სამმართველოს პრეზიდიუმის მიერ საგანგებო სხდომაზედ თფილისის საავადმყოფოთა და დაწესებულებათა სანიტარულ ნაწილთა უფროსნი ფრონტიდან ჩამოყვანილ დაჭრილ-დაავადებულთა საავადმყოფოებში განაწილების საკითხის მოსაგვარებლად (სდს).

# კრებები

დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა სასწრაფო საზოგადო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას უნდა დაესწრონ აგრეთვე ქალთა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყველა წევრები.

# პროფესიონალურ კავშირებში

**აღმასრ. კომიტეტის დადგენილებანი.**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელმა კომიტეტმა 15 თებერვლის სხდომაზე იმსჯელა თავდაცვის შესახებ და დაადგინა განსაკუთრებული მიმართვა გაუგზავნოს რადიოთი პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს ამსტერდამში.

დადგენილ იქნა ვრცელი მოწოდების დაგზავნა რესპუბლიკის ყველა პროფესიონალურ კავშირებსა და საბჭოებს, რომ მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები თავდაცვისათვის ხელის შესაწყობათ.

კვირას, 20 თებერვალს, მოწვეული იქნება თფილისის ყველა საქარხნო კომიტეტების, კავშირის გამგეობების და ცენტრების გაერთიანებული კრება, სადაც განიხილავენ თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

—

დღეს, 17 თებერვალს, საღამოს $6^1/_2$ ს. შესდგება პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატის სხდომა. დღის წესრიგში სდგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. სეკრეტარიატის წევრებს სახოვენ არ დაიგვიანონ.

# სათბობი მასალის სიმცირე რუსეთში

**ჰელსინგფორსი** სათბობ მასალის ნაკლებლოვანობის გამო საგანგებო რწმუნებული მოუწოდებს პეტროგრადის მცხოვრებთ მოხსნან ზედმეტი ლამფები და ისარგებლონ სინათლით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონის სადგურს სრული შეჩერება მოელის.

მოსკოვის „პრავდა" იუწყება: სათბობი მასალის უქონლობის გამო მრავალი ქარხანა და ფაბრიკა შეჩერდა. (სდს).

# საით მიჰყავართ ბოლშევიკურ წყობილებას

(ფრანგული ცნობა).

რკინის გზებზე მოძრაობა-ქაოსშია დღითი დღე მცირდება გზებზე, რომელიც გაჩერებული იქნა ... ტი 12, უმთავრესად კიევის, ხარკოვის და პოლტავის რაიონებში. პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განაცხადეს, რომ მოსალოდნელია მთელი პეტროგრადის რკინის გზის ხაზზე მოძრაობის შეჩერება. თებერვლის უარეს მდგომარეობას მოელიან. ამჟამად რკინის გზის ხაზებზე 7043 სურსათით დატვირთული ვაგონი იმყოფება. მუშები მ ითხოვენ სასურსათო საქმის პროფესიონალურ კავშირებისთვის გადაცემას. ამასვე თხოულობს მოსკოვის მეღითონეთა კავშირი. (სდს)

# გლეხთა აჯანყება უკრაინაში

**სტამბოლი.** „ბოსფორი" იუწყება: გლეხთა აჯანყება უკრაინაში განსაკუთრებული სიძლიერით ვითარდება. განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო აჯანყებამ ოდესის, ხერსონის, ეკატერინოსლავისა და კიევის მიდამოებში. ბოლშევიკები მხოლოდ დიდ ქალაქებში არიან გამაგრებულნი. რკინის გზით მიმოსვლა ქალაქებს შორის თითქმის შეწყვეტილია. აჯანყებულთა შორის არის მისწრაფება ძალთა გაერთიანებისა და სამხედრო საბჭოს შექმნის, რათა ამრიგათ განაგრძონ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. მოძრაობის მიზანია ქვეყნის ბოლშევიკურ ოკუპაციისაგან განთავისუფლება და მიწების გლეხებს შორის დარიგება. ამასთანავე მცხოვრებლები წინააღმდეგი არიან მათ შინაური საქმეებში უცხოელების ჩარევისა. (სდს)

# კომუნისტების მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებში

**კოპენჰაგენი.** თანახმად ვიბორგიდან მოსული ცნობებისა აღმოსავლეთ კორელიაში ფინელი კომუნისტების აჯანყება მომხდარა. დაუტუსაღებიათ 40 კომუნისტი, რომელთა ბელადები უკვე დაუხვრეტიათ. აჯანყების მიზეზი იყო, რომ საბჭოთა მთავრობის განზრახვა გაეგზავნა ფინელი კომუნისტები პეტროგრადში. აღმოსავლეთ კორელიაში ჩავიდა საბჭოთა რაზმი, რომელიც 400 კაცისაგან შედგება.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო საქ. დეპ. სააგენტოს აუწყებს: პარიზის პოლიციამ აღმოაჩინა მთელი რიგი დოკუმენტებისა, ბოლშევიკური ორგანიზაციების მიწერ მოწერა და ბოლშევიკური ფართო აგიტაციის გეგმა, რომელსაც ისინი საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში და რუმინეთში აწარმოებდნენ. განზრახულია საფრანგეთიდან ყველა იმ პირთა გაძევება, რომლებიც ამ საქმეში არიან ჩარეულნი. (სდს).

# დაღესტანის გარშემო

**სტამბოლი** „ჟურნალ დ. ორიანი" იუწყება: თანახმად ანატოლიიდან მოსული ცნობებისა ლენინსა და ქემალ ფაშას შორის დაღესტანის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მოხდა დეპეშათა გაცვლა-გამოცვლა. მუსტაფა ქემალი თავის დეპეშაში მადლობას უცხადებს ლენინს მისი საალმოსავლეთო პოლიტიკისათვის, ლენინი კი რწმენას გამოსთქვამს, რომ რუსეთის საალმოსავლეთო პოლიტიკა ქემალ ფაშას მიერ ყოველთვის მოწონებული იქნება. თავის დეპეშაში ლენინი ამტკიცებს, რომ ავტონომია მიეცემა რუსეთში მცხოვრებ ყველა ერებს, რომ მათ მიეცეთ საშუალება აირჩიონ თავიანთ წრიდან ისეთი მთავრობა, როგორსაც ისინი მოისურვებენ. (სდს).

# აჯანყება კრონშტადტში

(ფრანგული ცნობა).

**პარიზი** 15 თებ. გაზეთი (გამოტოვებულია) იუწყება კონფლიქტი, რომელიც ბოლშევიკების მთავრობასა და კრონშტადტელ მეზღვაურთა შორის მოხდა, ჯერ არ დამთავრებულა. იმ რეპრესიებზე, რომელიც მთავრობამ მიიღო აჯანყებულთა წინააღმდეგ, მეზღვაურებმა ბოლშევიკების დეპუტატების დატუსაღებით უპასუხეს. ჯარებმა, რომელნიც ცენტრალურ რუსეთიდან გამოიწვიეს, მეზღვაურებთან ბრძოლაზე უარი განაცხადეს. კრონშტადტის ზარბაზნები აჯანყებულთა ხელშია. (სდს)

# ლონდონის კონფერენცია

ხმებია, რომ ლონდონის კონფერენცია შეიძლება რამდენიმე დღით გადაიდოს, რომ ამით ანგორის დელეგაციას დრო მიეცეს კონფერენციის პირველ სხდომას მოუსწროს. სტამბოლიდან მოსულ დეპეშის თანახმად, თებერვლის 7 ანგორიდან გასულ დელეგაციას შეუძლია ლონდონში თებერვლის 21 ჩავიდეს. (სდს).

# მე-3 ინტერნაციონალი და რუმინეთის სოციალისტები

რუმინელ სოციალისტურ პარტიების თათბირზე განიხილეს მესამე ინტერნაციონალთან შეერთების საკითხი. კამათმა სოციალისტურ პარტიებში განხეთქილება გამოიწვია. გამოყოფილ კომუნისტთა რიცხვი მცირეა. (დამახინჯებულია). (სდს)

[illegible]